სსდ საავტომობილო
გზების დეპარტამენტი

ალ. ყაზბეგის გამზ. N12
0160, თბილისი, საქართველო
+995 32 2 370 508
info@georoad.ge

08 ივლისი 2024

MRDI-RD N 2-03/9768

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა განიხილა თქვენი 2024 წლის 15 მაისის №6/26374 წერილი, რომელიც შეეხება გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, სოფელ ბერბუკში, საერთაშორისო მნიშვნელობის **თბილისი - სენაკი - ლესელიძეს (რუსეთის ფედერაციის საზღვარი)** საავტომობილო გზის კმ81-ის მიმდებარედ, საავტომობილო გზის ღერძიდან მარჯვენა მხარეს და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის **გორი - მეჯვრისხევის** საავტომობილო გზის კმ2-ის მიმდებარედ, საავტომობილო გზის ღერძიდან მარცხენა მხარეს მდებარე 5763კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კN 66.54.17.277) პრივატიზების საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი **არ არის წინააღმდეგი** მოხდეს მოცემული 5763კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კN 66.54.17.277) განკარგვა საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი - სენაკი - ლესელიძეს (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის მიწის ვაკისის ყრილის ძირიდან **25** მეტრის და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გორი - მეჯვრისხევის საავტომობილო გზის ღერძიდან **10** მეტრის ფარგლებს მიღმა.

საავტომობილო გზის აღნიშნულ მონაკვეთებზე ვრცელდება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 თებერვლის **№289** განკარგულება.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ დაინტერესებაში არსებული 5763კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კN 66.54.17.277) საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი - სენაკი - ლესელიძეს (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზასთან პირდაპირი მიერთება ვერ მოხდება და მასთან დაკავშირება შესაძლებელი იქნება მხოლოდ არსებული შიდა საგზაო ქსელის მეშვეობით.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ ,,საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად საავტომობილო გზებზე, გზისპირა ზონაში (გზის ღერძიდან 100 მეტრი ორივე მხარეს) გზების მფლობელთან (მოცემულ შემთხვევაში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი) შეუთანხმებლად აკრძალულია ნებისმიერი სამშენებლო და სხვა სახის სამუშაოთა წარმოება.

დანართი: 1 ფურცელი.

პატივისცემით,

დავით გეწაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე